

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ხელოვნების გაკვეთილის როლი აუტიზმის სპექტრის მქონე  
მოსწავლეთა სოციალურ ინტეგრაციაში

ფიქრია ფირცხალაიშვილი-სულაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის  
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

ხელმძღვანელი: თინათინ ჭინჭარაული, ასოცირებული პროფესორი PHD, BCBA.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“*

*ფიქრია ფირცხალაიშვილი-სულაძე 26.06.2019 წელი*

## სარჩევი

აბსტრაქტი.....	v
<b>Abstract</b> .....	vii
თავი 1. ლიტერატურის მიმოხილვა.....	1
1. აუტიზმის სპექტრის დარღვევები.....	1
აუტიზმი.....	1
აუტიზმის სპექტრის სიმპტომები.....	1
2. სოციალური უნარები.....	3
სოციალური უნარის აღწერა.....	3
სოციალური უნარების განვითარება აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვებში.....	3
3. ხელოვნების გაკვეთილი დაწყებით საფეხურზე.....	5
4. აუტიზმი, ხელოვნების როლი და სოციალური ინტეგრაცია.....	8
აუტიზმის სპექტრის მოსწავლეთა სწავლება.....	8
ხელოვნების პროგრამა, სპეციალურ საგანმანათლებლო კლასში.....	10
ინტეგრირებული ხელოვნება.....	12
თავი 2. კვლევა.....	14
2.1 კვლევის მეთოდოლოგია.....	14
2.2 კვლევის მიზანი.....	15
2.3 კვლევის ამოცანები.....	15
2.4 კვლევის მონაწილეები.....	16
2.5 კვლევის ინსტრუმენტები.....	17
2.6 კვლევის შეზღუდვები.....	17
თავი 3. კვლევის შედეგები.....	18
3.1 მულტი დისციპლინური გუნდის შეფასების შედეგები.....	18
I.....	18
II.....	19
III.....	21
3.2 ინტერვიუების შედეგები.....	22
I.....	22
II.....	23
III.....	24
3.3 დაკვირვების შედეგები:.....	25
I.....	25
II.....	26

III.....	27
3.4 ATEC- ის კითხვარის შედეგები.....	29
I.....	29
II.....	30
III.....	32
მონაცემების შეჯამება.....	33
რეკომენდაციები.....	34
დასკვნა.....	36
ბიბლიოგრაფია.....	37
დანართი #1.....	38
დანართი #2.....	41
დანართი #3.....	45
დანართი #4.....	47

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ხელოვნების გაკვეთილის როლის დადგენას აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა სოციალურ ინტეგრაციაში. სოციალური უნარები ერთ-ერთი რთულად და ნაკლებ განვითარებული უნარია აუტიზმის სპექტრის შემთხვევაში, ამიტომ სხვადასხვა საგანმანათლებლო ინსტიტუტებს, ისეთს როგორცაა საბავშვო ბაღი, სკოლა დიდი პასუხისმგებლობა და როლი აქვთ ამ უნარის განვითარებაში, ისევე როგორც მასწავლებლებს. ამიტომაც ჩემი კვლევა სწორედ სოციალური უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული, საგაკვეთილო პროცესში, კონკრეტულად ხელოვნების გაკვეთილზე.

დღესდღეობით ამ მიმართულებით საქართველოში კვლევები ფაქტობრივად არ არსებობს, ამიტომ ამ კვლევის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ამ თემის წინ წამოწევაა. მეთოდოლოგიურად კვლევა ეყრდნობა შემთხვევის ანალიზზე დაყრდნობილ თვისებრივ კვლევას. კვლევაში ჩართული იყო N55 საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხური 3 მოსწავლე. მათგან ორი, მეორე კლასის, ხოლო ერთი, მეექვსე კლასის მოსწავლეა. ორი მათგანი სარგებლობდა რესურს ოთახის მომსახურეობით და ერთი მათგანი სარგებლობდა ინტეგრირებული კლასის მომსახურეობით. კვლევისთვის გამოყენებული იქნა გაკვეთილზე დაკვირვების პროტოკოლი, რის მიხედვით ვაკვირდებოდი მოსწავლეების სოციალურ ქცევას ხელოვნების სამ გაკვეთილზე და დასვენებაზე, ასევე სამ განსხვავებული საგნის გაკვეთილზე და დასვენებაზე, რათა მიღებული შედეგები ერთმანეთისთვის შემედარებინა.

კვლევისთვის ასევე გამოვიყენე ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, ჩავწერე მოსწავლეთა დამრიგებლები, ფსიქოლოგები, სპეციალური მასწავლებლები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, ხელოვნების მასწავლებლები. გამოყენებული იქნა აუტიზმის მკურნალობის შეფასების ფორმა AUTISM TREATMENT EVALUATION CHECKLIST (ATEC), რომელიც ზომავს სოციალური უნარ-ჩვევებს, ასევე ენა/მეტყველება/კომუნიკაციას, სენსორულ/კოგნიტურ ცნობიერებას,

ჯანმრთელობა/ფიზიკური/ქცევას. მოცემულ დებულებებში სპეციალურ მასწავლებელთა და ფსიქოლოგთა მიერ შეფასდა მოსწავლეთა უნარები.

დაკვირვებების შედეგად აღმოჩნდა, რომ ხელოვნების გაკვეთილები მოსწავლეებს არ მიეწოდებათ ისე, რომ ხელი შეუწყოს სოციალურ ინტეგრაციას, დაკვირვების პერიოდში არ ჩატარებულა გუნდური მუშაობა, არც წყვილებში მუშაობა, მეთოდები რაც ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას. შესაბამისად არ გამართლდა ჰიპოთეზა.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემუშავდა რეკომენდაციები ხელოვნების გაკვეთილის დაგეგმვასა და ჩატარებასთან დაკავშირებით, რათა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით ხელოვნების გაკვეთილი საქართველოშიც გამოყენებულ იქნას სოციალური ინტეგრაციის ხელშესაწყობად.

კვლევა საინტერესოა აუტიზმის სპექტრი მქონე მოსწავლეთა მშობლებისა და მასწავლებლებისთვის, განსაკუთრებით ხელოვნების მასწავლებლებისთვის. ასევე ამ თემით დაინტერესებული პირებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** აუტიზმის სპექტრი, სოციალური უნარები, ხელოვნების გაკვეთილი.

## Abstract

Master's Thesis evolves the role of art lessons in social integration of children with autism spectrum. Social skills belong to one of the difficult and less-developed skills in terms of autism spectrum; thus, various educational institutions, such as kindergarten, school, including teachers bear great responsibility and role in development of these skills. Consequently, my study specifically stands on social skills in teaching process, namely, at art lessons.

Presently, factually, there are no field studies in Georgia, thus, one of the goals of this thesis is to bring this field into the limelight. As per methodology, study is based on qualitative case study analysis. The study involved 3 pupils of elementary classes of N55 Public School. Two of them used the resource room service and one of them used the integrated class service. Class observation protocol was used for the study and consequently, I was observing the social behavior of the pupils in the course of three art lessons and break, as well as in the course of three lessons on other subjects and break for comparing the results.

For the purposes of study, I have used half-structured interview, recorded the class supervisors, psychologists, specialized teachers, teachers of different school subjects and art teachers.

AUTISM TREATMENT EVALUATION CHECKLIST (ATEC) was used, measuring the social skills, including language/speech/communication, sensor/cognitive consciousness, health/physical behavior. Following the given directions, specialized teachers and psychologists evaluated the skills of pupils.

Observations revealed that the art lessons were not delivered in a way to support the social integration of the pupils; no team work, no couple work – the methods that could support the social integration, were not provided during the observation period. Thus, hypothesis was not justified.

Pursuant to the study results, in order to use the art lessons for supporting the social integration in Georgia, recommendations in terms of planning and providing the art lessons were elaborated.

Study is interesting for the parents and teachers of the pupils with autism spectrum, especially for the art teachers, as well as for other interested individuals.



## მადლობა

კვლევაში გაწეული დახმარებისთვის, რეკომენდაციებისთვის, განმავითარებელი, პოზიტიური უკუკავშირისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღვანელს ქალბატონ თინა ჭინჭარაულს.

ასევე მადლობას ვუხდის 55 საჯარო სკოლის ფსიქოლოგებსა და სპეციალურ პედაგოგებს კვლევაში გაწეული დახმარებისთვის.